

## **ელდარ ბუბულაშვილი**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი,  
თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.*

## **სერგო ფარულავა**

*გრეგორიანას პაპის უნივერსიტეტის დოქტორანტი  
საბაუნის მოწვეული სპეციალისტი*

### **ვატიკანის არქივის რამდენიმე უცნობი მასალა ქართველ კათოლიკეთა შესახებ (XIX-XX სს. მიჯნა)**

2019 წლის ივნისში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსებით, საქართველოს რელიგიის საკითხთა სააგენტოს თანამშრომელთან და რომის გრეგორიანას უნივერსიტეტის დოქტორანტ სერგო ფარულავასთან ერთად ვატიკანის აღმოსავლეთ ეკლესიათა კონგრეგაციის საიდუმლო არქივში მივაკვლიეთ ქართველ კათოლიკეთა შესახებ უცნობ საინტერესო მასალებს, რომლებიც ძირითადად ეხება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის ოციანი წლებს. ამჟამად წარმოგიდგინთ მოძიებული მასალებიდან მხოლოდ სამიოდე დოკუმენტს, რომლებიც ასახავს სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა მიმე სარწმუნოებრივ მდგომარეობას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

ცნობილია, რომ თურქ-ოსმალთა მიერ XVI საუკუნის ბოლოს, სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, აქ მცხოვრები ძირძველი ქართველების მდგომარეობა საკმაოდ დამძიმდა. მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილმა სარწმუნოების შეცვლის შიშით მიგრაცია განიცადა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დარჩენილმა ნაწილმა, ევროპელი კათოლიკე მისიონერების ქადაგებით, კათოლიკური აღმსარებლობა აღიარა. ისინი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იმთავითვე წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე აღასრულებდნენ, ანდა ლათინურ რიტს იყენებდნენ. XVII – XVIII საუკუნეებში ოსმალური ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა სომეხმა კათოლიკე სამღვდელოებამ მიიღო უფლება, ქართველ კათოლიკეებში წირ-

ვა-ლოცვა ჩაეტარებინა სომხურ ენაზე (ლომსაძე 1979, 94-114; ლომსაძე 1997, 31-33).

1829 წელს რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ აქ მცხოვრები ქართველი კათოლიკეების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის გაშუქებული, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამჯერად უკვე მეფის რუსეთის მხარდაჭერილმა სომეხმა კათოლიკე სასულიერო პირებმა კიდევ უფრო გაააქტიურეს თავიანთი მოქმედება. გარდა ამისა, რუსიფიკატორული პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო ძირძველი ქართული მიწიდან ქართველი მაჰმადიანების გასახლება და მათ ნაცვლად სომეხების, რუსების, ქურთების და სხვა ეროვნებათა ჩასახლება (ლომსაძე 2011, 78-97). აღნიშნული პროცესის მიზანი იყო ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად რელიგიური სიტრელის შექმნაც. ადგილობრივი ძირძველი ქართული მოსახლეობის ასიმილაციის მიზნით ხელისუფლება ახალისებდა ამ კუთხეში ჩასახლებულ სომეხებს და მხარს უჭერდა ქართველ კათოლიკეებში სომხური რიტის დამკვიდრებას. ხელისუფლების ეს ნაბიჯი განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ხელს უწყობდნენ რუსული პოლიტიკის გატარებას საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში. აღსანიშნავია, რომ თბილისის, გორის, ქუთაისის, ბათუმის კათოლიკენი ლათინურ რიტზე იყვნენ. სომხური რიტის ქართველი კათოლიკეები ხელისუფლების მიერ სომეხებად იქნენ მიჩნეული. ისინი კამერალურ თუ სხვა აღწერებში სომეხებად არიან წარმოდგენილნი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება იმპერიის მასშტაბით არსებულ კათოლიკურ აღმსარებლობას კარგად იყენებდა თავისი პოლიტიკის გასატარებლად. ამ მიზანს ემსახურებოდა 1845 წელს ევროპელი მისიონერების გაძევება საქართველოდან და კავკასიის კათოლიკე მრევლის დაქვემდებარება ჯერ მოგილევისა და სარატოვის, ბოლოს კი ტირასპოლის კათოლიკური საეპისკოპოსადმი, რომელიც უშუალოდ რომის პაპს ექვემდებარებოდა და მისგან ღებულობდა სამოქმედო ინსტრუქციებს (Pro Russia 111, 4; თამარაშვილი 1902, 454). ამის მიუხედავად, იგი, როგორც იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი ეპისკოპოსი, ანგარიშს უწევდა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა მიმართვები ტირასპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოსებისადმი სომხური ენის ნაცვლად ქართულის ენის, ანდა ლათინური რიტის, დამკვიდრების შესახებ. როგორც წყაროებით დასტურდება, ხშირ შემთხვევაში ქართველ კათოლიკეთა აღნიშნულ კანონიერ მოთხოვნას ტირასპოლის მღვდელმთავარები იგნორირებას უკეთებდნენ, რაც, უეჭველია, რუსეთის ხელისუფლების ბეწოლით ხორციელდებოდა.

ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი კათოლიკეების ასიმილაციას, არასოდეს შერიგებია მესხეთის მკვიდრი კათოლიკე ქართველობა და მათი სამღვდელოება. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან XX საუკუნის პირველ ოცეულში ისინი აქტიურად იბრძოდნენ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და მოითხოვდნენ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებას ანდა ლათინური რიტის დამკვიდრებას. ამ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს მესხეთის წრიდან გამოსულმა ქართველმა კათოლიკე სასულიერო პირებმა - პეტრე ხარისჭირაშვილმა, იოანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა და სხვებმა. განსაკუთრებით გამორჩეულია საქმიანობა აბატ პეტრე ხარისჭირაშვილისა, რომლის მიერ სტამბულში 1860 წელს დაარსებულმა ქართველ კათოლიკეთა მონასტერმა და აქვე არსებულმა სასულიერო სასწავლებელმა დიდი როლი შეასრულა ქართველ კათოლიკეთა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში. სამართლიანად მიჩნეულია, რომ მათი საქმიანობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა (ვრცლად იხილეთ ლომსაძე 1997; ლომსაძე 1984; ფუტკარაძე 2012; ყრუაშვილი ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში 2005).

მესხეთის ქართველ კათოლიკეთა გასაჭირს იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები. მათი ხელშეწყობით, ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად საინტერესო წერილები ქვეყნდებოდა სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა პრობლემების შესახებ. (ლომსაძე 1984, 202-206; ბუბულაშვილი 2003, 56-57).

ცნობილია, რომ, მიუხედავად წინააღმდეგობისა, სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე სამღვდელოება, რომელთა შორის აღსანიშნავია მღვდელი იოანე გვარამაძე, წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე აღავლენდა, რაც ადგილობრივი სომეხი სამღვდელოების არასამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. მათ იმასაც მიაღწიეს, რომ, რუსეთის ხელისუფლების 1886 წლის 27 თებერვალის განკარგულებით, შეიქმნა „კავკასიაში სომეხ კათოლიკეთა საარქიმანდრიტო,“ რომელიც დიდ უფლებებს ანიჭებდა სომეხ კათოლიკე სამღვდელოებას. ამ გადაწყვეტილებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ქართველ კათოლიკეებს 1886 წელს აეკრძალათ წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარება. ამ გადაწყვეტილებამ მესხეთის მკვიდრი ქართველი კათოლიკეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, იგი ძალაში მოგვიანებით - 1893 წლის მაისიდან შევიდა (Pro Russia 111, 2; ყრუაშვილი 2005, 68).

ხელისუფლების აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა ქართველი კათოლიკე სამღვდელოება და მრევლი. აღნიშნულის გამო მღვდელ იოანე გვარამაძეს თავისმართლება არაერთხელ მოუხდა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქართველმა კათოლიკეებმა, სამართლიანი მოთხოვნით, არაერთხელ მიმართეს კავკასიის საერო ხელისუფლებას და ტირასპოლის კათოლიკეთა მღვდელმთავარს ქართული ან ლათინური რიტის დამკვიდრების შესახებ, მაგრამ მათ კანონიერ მოთხოვნაზე რეაგირება მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ ტირასპოლიდან ჩამოსული ცალკეული პიროვნებები შემოივლიდნენ ხოლმე ქართველ კათოლიკეთა სამრევლოებს. ადგილებზე ვითარების გარკვევის შემდეგ მდგომარეობა არ იცვლებოდა.

ასეთ ვითარებაში ჩავარდნილმა სამცხე-ჯავახეთის ქართველმა კათოლიკე სამღვდელოებამ და მრევლმა, როდესაც სამართალი ადგილობრივად ვერ მოიპივეს, XIX ს-ის 90 წლებიდან მიმართვები გააგზავნეს რომში. ისინი საქართველოში შექმნილი სიტუაციის გამო საქმის კურსში აყენებენ რომის პაპს და სთხოვენ მას ქართველ კათოლიკეთა სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტას. ჩვენ ვატიკანის არქივში მოვიძიეთ ახალციხიდან 1896 წლის 17 აპრილით დათარიღებული ვატიკანში გაგზავნილი წერილი (Pro Russia 111, 217-24).

წერილი წარმოადგენს ხელნაწერს, შედგენილია ქართულ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი ერთმანეთის იდენტურია.

წერილი გაგზავნილია რომის პაპის მიმართ, მაგრამ მიმართვაში პაპის სახელი არ არის მოხსენებული. იგი ეკუთვნის რომის პაპ ლეონ XIII-ს. ეს დასტურდება ჩვენ მიერ ქვემოთ წარმოდგენილ ტირასპოლის კათოლიკე ეპარქიის ეპისკოპოს იოსებ კესლერიისადმი სოფ. ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიის კათოლიკე მრევლის მიერ გაგზავნილი წერილიდან. უნდა აღინიშნოს, რომ პაპ ლეონ XIII-ისადმი გაგზავნილი ამ წერილის შავი პირი დაცული არის ახალციხის მუზეუმში, რომლიდანაც მცირე ამონარიდი მოაქვს მკვლევარ ნ. ყრუაშვილს. დასახელებული მკვლევარი აღნიშნავს, რომ რომის პაპ ლეონ XIII-ის მიმართ გაგზავნილი წერილის ავტორი ყოფილა მღვდელი იოანე გვარამაძე (ყრუაშვილი 2005, 72). ჩვენ მიერ წარმოდგენილ წერილს იოანე გვარამაძის გარდა ხელს აწერს, სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფლის კათოლიკე მრევლის სახელით, სამღვდელოება, საეკლესიო ბეჭდის დამოწმებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პაპისადმი გაგზავნილი აღნიშნული მიმართვა არის პირველი წერილი XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ ქართველ კათოლიკეთა მძიმე სარწმუნოებრივი და ეროვნულ-მდგომარეობის შესახებ.

პაპისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ მესხეთში, და საერთოდ საქართველოში, მცხოვრები ქართველი კათოლიკენი „თა-

ვიდნავს, გამხდარან თუ არა ქრისტიანად, არასოდეს არ გაჰყრიან რომის სამოციქულო ტახტს, რომლის სიყვარული და პატივი აღუხოცველია ჩვენს, ქართველი კათოლიკეების, გულში.“ აღნიშნულის გარდა, იქვე მითითებულია, რომ ტირასპოლის კათოლიკურ ეპარქიას დაქვემდებარებული ქართველი კათოლიკეები მოკლებულნი არიან წირვა-ლოცვის ჩატარებას ლათინური ტიპიკონის მიხედვით. ხელისუფლების მხარდაჭერით, მათთან ლიტურგიკის აღსრულება ხდება სომხური რიტის მიხედვით, რომელსაც კათოლიკე სომეხი სამღვდელოება მათთვის გაუბეზარ სომხურ ენაზე აღასრულებს. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ მათთვის, როგორც ქართველებისათვის, უცხოა სომხური ენა, რომელიც სომეხი ერისათვის საღვთისმეტყველო ენას წარმოადგენს. წერილში მითითებულია, რომ, მესხეთის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეში : გორში, თბილისში, ქუთაისში წირვა-ლოცვა ლათინური წესის მიხედვით აღსრულება. მიმართვის ავტორებს კათოლიკურ რიტთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიული ცნობა მოაქვთ. მიმართვაში აღნიშნულია, რომ მესხეთში კაპუცინელი კათოლიკე მისიონერების მიერ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების დროს ქართველებმა მხოლოდ ქართული ენა იცოდნენ. მათი აზრით, კაპუცინელი მისიონერების მოთხოვნით, „პროპაგანდა ფიდეი“ 1757 წლის 28 იანვრის, იმავე წლის 10 თებერვლისა და 1784 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ლათინური ტიპიკონის მღვდელს ევალებოდა სახარებისა და სამოციქულოს ქართულ ენაზე წაკითხვა. უცხოელი მისიონერები მრევლს ქართულ ენაზე ავალობებდნენ და ქადაგებას ქართულ ენაზე წარმოთქვამდნენ. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ კაპუცინელი მისიონერები ქორწინების საიდუმლოს ქართულად და ლათინური რიტით აღასრულებდნენ. მიმართვის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ 1845 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ კათოლიკე მისიონერების გაძევების შემდეგ მათი მდგომარეობა დამძიმდა. პოლიტიკური მოტივით, რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი კათოლიკეების ასიმილაციის მიზნით მათი მწყემსმთავრობა სომეხ კათოლიკე მოძღვრებს დაუქვემდებარა. ხელისუფლების 1893 წლის გადაწყვეტილებით, მესხეთის კათოლიკეებში ქართველ სამღვდელოებას აეკრძალა წირვა-ლოცვის დროს ქართული ენის გამოყენება. აღნიშნული გადაწყვეტილების გამო, მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ქართულ ეკლესიებში აღარ ისმის არავითარი ხმა ქართული ენის. მღვდლები ვეღარ კითხულობენ ვერც სახარებას და ვერც სამოციქულოს ქართული ენით, აღარ გვაქვს ქადაგება და წვრთნა ეკლესიებში, აღარ ისმის ჩვენს ყურსა შვენიერი გალობა.“

მიმართვაში განმარტებულია, რომ სომხური რიტის ქართველი კათოლიკეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ, რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აიკრძალა ქართული ენის გამოყენება წირვა-ლო-

ცვის დროს. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ „სომხები, რომელნიც ნამდვილად ნაცით არის სომეხი და ჩვენს შორის სცხოვრობენ, ქდაგებენ, რომ ქართველი კათოლიკეები არ არსებობენ, მათ შორის ლათინი ტიპიკონისაო. ყველა ისინი სომხის ტიპიკონის არიანო. მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ თბილისის სასომხეთის დედაქალაქად გამოაცხადეს.“ აღნიშნულის გამო მიმართვაში დასკვნის სახით მითითებულია, რომ ამ საკითხის მოგვარებისათვის მათ არაერთხელ მიუმართავთ ადგილობრივი საერო ხელისუფლებისა და ტირასპოლის კათოლიკური საეპისკოპოსოსათვის, მაგრამ მათი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.“

მიმართვის ავტორები იმედს ამყარებდნენ 1894 წლის 30 ნოემბრით დათარიღებულ პაპის ენციკლიკაზე, რომლის მიხედვით, აღმოსავლეთის ეკლესიები ლათინურ ტიპიკონზე უნდა დარჩენილიყვნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს უწყობდა, რომ სომხური ტიპიკონის ქვეშ მყოფი ქართველი კათოლიკეები ლათინურზე გადასულიყვნენ, რადგან, როგორც აღნიშნავენ: „... არ ვყოფილვართ, არა ვართ და არც გვინდა სრულად, რომ ვიყოთ ნაცით სომხები, ისე ენით და დროებით სომხის ტიპიკონის ქვეშ ვიმყოფებით, რომელთა ენა ჩვენ სრულიად არ გვესმის და არც გვინდა, რომ შევისწავლოთ.“

მიმართვის ავტორები გამოთქვამენ იმედს, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და ქართულ ენაზე კვლავ გაიგებენ ეკლესიებში ქადაგებებს და გალობას (Pro Russia 111, 217-24). აქვე დაეძენთ, რომ ქართველ კათოლიკეთა ამ მიმართვამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

მეტად ფასეული ინფორმაციის შემცველია სოფ. ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიის კათოლიკე მრევლისაგან ტირასპოლის მღვდელმთავარ იოსებ კესლერისადმი გაგზავნილი წერილი. მართალია, მიმართვას გაგზავნის თარიღი არ ახლავს, მაგრამ წერილის შინაარსიდან და ქვემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი, 1913 წლით დათარიღებული, პაპ პიუს X-ის მიმართვიდან ირკვევა, რომ იგი უნდა გაგზავნილიყო 1909 წლის 15 დეკემბერს, სარეგისტრაციო ნომრით - №35069 (Pro Russia 111, 40).

წერილიდან ირკვევა, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი რომის პაპ ლეონ XIII- ისადმი 1896 წლის ივლისით დათარიღებული წერილი ქართველ კათოლიკეებს გაუგზავნიათ სარატოვის, რუსეთის კათოლიკე ეპისკოპოსის - გრაფ შერემეტეივის ხელით, რომელსაც, თურმე, სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე სამღვდლოების თხოვნა პირადად გადაუცია პაპისათვის, მაგრამ, როგორც წერილიდან ირკვევა, მათ მოთხოვნას, ლათინურ რიტზე დაბრუნების შესახებ, „მრავალი დაბრკოლება აღმოაჩნდა და ... სურვილი ისევ სურვილად დარჩა“ (Pro Russia 111, 42). აღნიშნულის შესახებ 1899 წელს მათ კვლავ გაუგზავნიათ თხოვნა რომში. ამ ცნობის შესახებ არქივში ჩვენ ხელშეასახებ მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ირკვევა აგრეთვე, რომ XX ს-ის დასაწყისში ქართველ კათოლიკეებს რამდენჯერმე მიუმართავთ ტირასპოლის ეპისკოპოსისათვის. ამ მიმართვების საფუძველზე, 1903 წლის ივნისში ქართველი კათოლიკეების პრობლემების შესწავლის მიზნით საქართველოში ჩამოვიდა ტირასპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ედვარ ბარონი დე როპი, რომლის მოგზაურობა იმდროინდელმა პრესამ ფართოდ გააშუქა, ხოლო კათოლიკე მღვდლის - იოანე გვარამაძის შვილმა კონსტანტინე გვარამაძემ მისი მოგზაურობის სრული სურათი ასახა 1903 წელს გამოცემულ პატარა წიგნაკში (გვარამაძე 1908, 3-20). ედვარდ ბარონ დე როპი შეხვედრია წმ. ილია მართალს (ჭავჭავაძე), რომელსაც მისთვის გადაუცია რუსულ ენაზე თარგმნილი „ქვათა ღაღადი“ (ბუბულაშვილი 2003, 58). როგორც ეპისკოპოს იოსებ კესლერისადმი გაგზავნილი მიმართვიდან ირკვევა, ედვარდ ბარონ დე როპი პირადად შეხვედრია ქართველ კათოლიკეებს, რომელთაც მისთვის გადაუციათ „კოლექტიური თხოვნა, რათა ეშუამდგომლა სადაც ჯერ არს, რომ“ შეგვძლებოდა ლათინის ტიპიკონზე გადასვლა“ (Pro Russia 111, 11). მიმართვიდან ჩანს და მიმდინარე მოვლენებიდანაც ირკვევა, რომ ედვარდ ბარონ დე როპი კეთილგანწყობით მოჭიდებია ქართველი კათოლიკეების თხოვნას და დახმარება აღუთქვამს. წერილიდან აგრეთვე ირკვევა, რომ 1903 წლის ოქტომბერში, რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილის მეშვეობით, მათ დახმარების თხოვნა გაუგზავნიათ რომში ერთ-ერთი კარდინალისათვის. ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ედვარდ ბარონ დე როპმა დანაპირები ვერ შეასრულა, რადგან იგი მალე, უცნობი მიზეზების გამო, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. შესაძლებელია, მისი გაათავისუფლება უკავშირდებოდეს სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკეების მოთხოვნებისადმი კეთილგანწყობას და მხარდაჭერას. ჩვეთვის აგრეთვე ცნობილია, რომ იგი 1906 წელს არჩეული იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად; ამავე საბჭოს წევრად, საქართველოს თავადაზნაურთა სახელობით, არჩეული იყო ილია ჭავჭავაძე.

მიმართვის ტექსტიდან ირკვევა, რომ 1904 წლის ნოემბერში ქართველ კათოლიკეებს იმავე საკითხზე თხოვნა გაუგზავნიათ ახლადდანიშნული ტირასპოლის კათოლიკური ეპისკოპოსის - იოსებ კესლერისადმი. გარდა ამისა, 1905 წლის რევოლუციის დაწყების დროს, იმავე წლის 17 აპრილსა და 17 ოქტომბერს, ხელისუფლების მიერ გამოცემული მანიფესტის ერთ-ერთმა მუხლმა - რელიგიის თავისუფლების შესახებ, ქართველ კათოლიკეებს იმედი ჩაუსახა, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა. ამ მანიფესტის საფუძველზე, მათ დახმარებისათვის მიუმართავთ კავკასიის მეფისნაცვლისათვის, „რათა სამოქალაქო მთავრობის მხრივ ნება დაერთო ჩვენთვის ლათინი ტიპიკონზე

გადასვლისა, რომელმაც კეთილი ინება და მოგვცა ნება.“ აღნიშნულის გამო, წერილის ავტორები კათოლიკე ეპისკოპოსს მიმართავენ: „... მუხლოდრეკილნი ვაახლებთ ჩვენს ძველ მოთხოვნებს და გვედრებით, ნუ უგულებელყოფთ ჩვენი დიდი ხნის ნატვრა-სურვილს, გვიშუამდგომლეთ მისი უწმინდესობის წინაშე, რომ, მისი სამოციქულო უფლებით, მოგვანიჭოს ნებართვა, შევიდეთ ლათინი ტიპიკონის ნავთსაყუდეღში, რომლითაც ბოლო მოელება ჩვენს ტანჯვა-წამებას და უკმაყოფილებას, რომლის მოწამეც თქვენ ბრძანდებით“ (Pro Russia 111, 12).

წერილის ავტორები, ისტორიული ფაქტების მოშველიებით, ძირითადად სწორად წარმოაჩენენ თავიანთ მიძიმე სარწმუნოებრივ მდგომარეობას. მიმართვის ტექსტის დასაწყისში ისინი ტირასპოლის ეპისკოპოსს კიდევ ერთხელ განუმარტავენ: „...დიდი ხნიდან სურვილი გვაქვს გადავიდეთ რომის კათოლიკურ ლათინის ტიპიკონზე, რომელიც ჩვენთვის სასურველი და სანატრელია.“ ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ, „თუმცა კარგა ხანია ვირიცხებით სომეხ კათოლიკე ტიპიკონზე, მაგრამ ჩვენ გვარ-ტომობით და ჩამომავლობით ქართველები ვართ. ჩვენთვის სრულებით უცხოა სომხური ენა, არ გვესმის და არც ვლაპარაკობთ ამ ენაზე.“

წერილში კარგად არის განმარტებული ის მიზეზები, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა მათი სომხურ ტიპიკონზე გადასვლა. სწორადაა აღნიშნული, რომ ოსმალთა მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ ამ კუთხის ქრისტიანებს ისინი ამაჰმადიანებდნენ, მათ შორის ქართველ კათოლიკეებსაც დევნიდნენ. მათგან გასხავებით, როგორც მიმართავთა აღნიშნული, „იმ დროს ოსმალთს მთავრობა მხოლოდ არა სდევნიდა სომხის ერს და ისინი თავისუფლად აღიარებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, როგორც სომეხი გრიგორიანები, ისე სომეხი კათოლიკენი.“ წერილის მიხედვით, მესხეთის ქართველ კათოლიკეებს თავიანთი რწმენა რომ დაეცვათ, „მაშინდელი კათოლიკე მისიონერების რჩევით, დროებით შეაფარეს თავი სომეხ კათოლიკეთა ტიპიკონს და დროთა გარემოების გამო დარჩნენ ამ ტიპიკონში.“ ისინი ტირასპოლის ეპისკოპოსს აცნობებენ, რომ XIV-XVI საუკუნეებში თბილისში იყო კათოლიკეთა საეპისკოპოსო და ისტორიულად ქართველი კათოლიკეები არასოდეს ყოფილან სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსის გავლენის ქვეშ.

მიმართვის დასასრულს აღნიშნულია: „...სიმართლე და სიბრძნე მოითხოვს ჩვენი კანონიერი მისწრაფება შესრულდეს ახლა მაინც. ჩვენ რა დავგიშავებია წმიდა ტახტისათვის, როდესაც ქართველი კათოლიკენიც საუკუნოებით ერთგული წრფელი ჩვილნი ყოფილან, ვართ და ვიქნებით „ერთი წმიდა კათოლიკე ეკლესია.“ მიმართვას ხელს აწერენ იოსებ გოზალოვი, სტეფანე ხითაროვი, სტეფანე გოზალოვი, სტეფანე



მანველოვი, პავლე სამარჯოვი, ანტონ მანველოვი.... სულ ხელს აწერს 222 პირი (Pro Russia 111, 14)

ვატიკანის არქივში მოძიებული მასალებიდან განსაკუთრებით საინტერესოა 1913 წლის 8 დეკემბრით დათარიღებული მიმართვაა რომის პაპ პიუს X-ისადმი. მიმართვის ავტორები არიან ქ. ახალციხის სოფლების: ივლიტას, ვალეს, არალის, უდეს, ბოლაჟურის, დაბა აბასთუმნისა და ახალქალაქის მამრის სოფლების: ხიზაბავრას, ვარგავის და ბნელას მკვიდრი ქართველი კათოლიკეები. ისინი რომის პაპს აცნობებენ, რომ მათი „სამართლიანი თხოვნა შეწყნარებულ იქნეს რუსეთის მთავრობისაგან, რომელიც წინეთ პოლიტიკური მიზეზების გამო არა თუ ნებას გვაძლევდა ლათინურ ტიპიკონზე გადასვლისა, არამედ გვიშლიდა კიდევ ქართული ენის გამოყენებას ქადაგებაშიც.“ მიმართვის ავტორები გულისხმობენ პირველი რევოლუციის დროს – 1905 წლის 17 აპრილისა და 17 ოქტომბრის მეფის მანიფესტს სიტყვის, კრებების და რელიგიების თავისუფლების შესახებ, რომლის საფუძველზე ქართველ კათოლიკეებს მიეცათ უფლება, სურვილისამებრ მოეწყოთ თავიანთი მმართველობა. მიმართვაში მითითებულია, რომ აღნიშნულის შესახებ მათ საქმის კურსში ჩაუყენებიათ ტირასპოლის კათოლიკე ეპისკოპოსი, მაგრამ ამ უკანასკნელს მათი თხოვნა დაგვიანებით გაუგზავნია რომის წმიდა ტახტისათვის: „ჩვენ კი გულის ძგერით, – წერენ ისინი პაპ პიუს X-ს, – მოველოდით წ-ა კრებისაგან ნებათვას. გვეგონა, რომ წ-ა ტახტი სიხარულით მიეგებებოდა ჩვენს განთავისუფლებას და მოგვეცემა საშუალებას ჩვენს წ-ა სარწმუნოებაში განმრავლებისათვის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ჩვენზედ დევნულობამ იჩინა თავი თვით წ-ა კრებაშიაც. ჩვენი მოპირდაპირენი აცნობებენ წ-ა კრებას სხვა და სხვა გამოგონილს მიზეზებს და შეჭველია ამის გამო წ-ა ტახტი აგვიანებდა ჩვენი თხოვნის განხილვას. ეს გარემოება აუტანელია ჩვენთვის“ (Pro Russia 111, 14).

ქართველ კათოლიკეთა კანონიერი მოთხოვნების უგულვებელყოფა მართო ვატიკანით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საქმე იმაშია, რომ 1905-1907 წწ. რევოლუციის მარცხის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები მეფის მანიფესტის ნიველირება მოახდინა და, ბუნებრივია, იგი ქართველი კათოლიკეების მოთხოვნას მხარს ვერ დაუჭერდა. აღნიშნულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, ტირასპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა დაგვიანებით გადასცა მათი მოთხოვნა ვატიკანს. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი, როგორც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი ეპისკოპოსი, გარკვეულწილად, ვალდებულიც იყო, ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა გაეტარებინა. რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკა კი მიზნად ისახავდა ქართველ კათოლიკეთა ასიმილაციას. შესაძლებელია, აღნიშნული სა-

კითხის გადაწყვეტის დროს ვატიკანიც, გარკვეულწილად, რუსულ პოლიტიკას ემორჩილებოდა, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ არ შევიწროვებულყო იმპერიის ტერიტორიაზე არსებული კათოლიკე აღმსარებელთა უფლებები. ჩვენი აზრით, ალბათ, ეს იმის გამო იყო, რომ ვატიკანის კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ამიერკავკასიის სომეხთა ეპისკოპოსი ტერ აბრამიანი. ვატიკანი ძირითადად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს მის ინფორმაციას ეყრდნობოდა. რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში, მართალია, ტერ აბრამიანის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ მიმართვაში ხაზგასმულია, რომ „მეზობელი სომეხი ერი ცდილობდა, როგორმე სამუდამოთ მოესპო ჩვენთვის საშუალება ლათინის რიგზედ დაბრუნებისა, იგი სპობდა და ანადგურებდა ყოველ დოკუმენტებს, რითაც შეგვეძლო ჩვენ დავბრუნებულიყავით ლათინის რიგზედ, მათი საშუალებით“ (Pro Russia 111, 41).

მიმართვაში აღნიშნულია: იყო იმის მცდელობა, რომ თბილისისა და ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიებში წირვა-ლოცვა სომხურ რიტმე გადასულიყო. თავიანთ განზრახვას ისინი იმით „ასაბუთებდნენ“, რომ თითქოს ისტორიულად ქართველი კათოლიკენი არასოდეს ყოფილან. ამ საკითხთან დაკავშირებით, მიმართვის ავტორებს საინტერესო ამონარიდები მოაქვთ მ. თამარაშვილის ნაშრომებიდან და ევროპელი კათოლიკე მისიონერების ჩანაწერებიდან, რითაც ისინი აქარწლებენ სომეხთა შეხედულებას.

მიმართვაში აღნიშნულია: „როგორც შევითყვეთ, ჩვენი თხოვნა რომში განიცდის დაბრკოლებას...“ აღნიშნულის მიზეზად მიმართვის ავტორებს მიაჩნიათ : „წ-ა კრება ჩვენს თხოვნაში ხედავს მართო ეროვნულს მისწრაფებას, მაგრამ ჩვენ თამამად ვაღიარებთ, რომ ეს მოსაზრება წ-ა კრებისა არ არის ჭეშმარიტი.“ აღნიშნულის გამო ქართველი კათოლიკენი ვატიკანისადმი გაგზავნილ ყველა მიმართვაში, და მათ შორის პაპისადმი გაგზავნილ ამ წერილში, საგანგებოდ ხაზს უსვამენ, რომ მათი გადასვლა ლათინურ ტიპიკონზე მიზნად ისახავს რწმენაში განმტკიცებას და ამით „ჩვენ გვინდა გავაკანონიეროთ ძველი დევნულობისაგან გამოწვეული უკანონობა.“

მიმართვის ავტორები ასევე აღნიშნავენ: „არა მგონია, წ-ა ტახტმა მოინდომოს ჩვენი დაჩაგვრა...“, და გამოხატავენ იმედს, რომ მათი მოთხოვნა სამართლიანად გადაწყდება. მიმართვის ბოლოს ქართველი კათოლიკეები რწმენას გამოთქვამენ : „მოგმართავთ თქვენს უუწმინდესობას, რომელიც ხართ მამა და მცველი დაჩაგრულთა, გვიპატრონებთ და გაგვაბედნიერებთ ნება დართვით.“

რომის პაპ პიუს X-ის მიმართვას ხელს აწერენ: ვანო პავლეს ძე მერაბიშვილი, სტეფანე ბიჩიკაშვილი, სტეფანე პეტრეს ძე ტატალაშვი-

ლი, იოსებ სტეფანეს ძე გომალიშვილი, სტეფანე ხითაროვი, მიხაილ პავლეს ძე წაღდაძე, კონსტანტინე ლუკას ძე გურგენიძე, ზაქარია დიდიმამიშვილი, სტეფანე პავლეს ძე გომალიშვილი, პროვიზორი ი. მაისურაძე და სხვები (Pro Russia 111, 42).

რომის პაპისადმი გაგზავნილი მიმართვის ტექსტი წარმოადგენს ხელნაწერს. ქართული ტექსტის პარალელურად, მოცემულია ხელით დაწერილი ფრანგული ტექსტი.

დიდი იმედის მიუხედავად, რომის პაპმა ქართველ კათოლიკეთა თხოვნა ვერ დააკმაყოფილა. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქართველ კათოლიკეთა მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას (1917 წლის 12 მარტი) ისინი დიდი სიხარულით შეხვდნენ და მისალოც წერილში გამოთქვეს სურვილი, რომ მათი მოთხოვნაც მალე სამართლიანად გადაწყდებოდა.

ახალი ვითარება თავის სასარგებლოდ სურდა გამოეყენებინა კავკასიის სომეხ კათოლიკეთა ადმინისტრატორს, კათოლიკე ეპისკოპოს ტერ აბრამიანს, მაგრამ მრევლის დაპირისპირების გამო იგი ტოვებს თბილისს და რომში ჩადის. მან ვატიკანს შესთავაზა კავკასიის კათოლიკეთა მმართველობის რეორგანიზაცია. იგი მოითხოვდა, რომ თბილისში მუდმივად მჯდარიყო კათოლიკეთა ეპისკოპოსი. ტერ აბრამიანის საპირისპიროდ, ქართველმა კათოლიკეებმა სამწყსოს ორგანიზაციის მიზნით ჩამოაყალიბეს „თბილისის ქართველ-კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტი.“ ამ კომიტეტის სახელით, 1917 წელს მიმართეს ვატიკანს თხოვნით, წირვა-ლოცვის დროს გამოეყენებინათ ლათინური ტიპიკონი ქართულ ენაზე. იმავე წლის 27 აპრილს თბილისში ჩატარდა სრულიად საქართველოს ქართველ კათოლიკეთა კრება, რომელსაც, გარდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ბაქოს და სხვა კუთხის კათოლიკეებისა, ესწრებოდნენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის სოფლების: ხიზაბავრის, ვარგავის, კარტიკამის, ბავრის, ხულგუმისა და ტურციხის წარმომადგენლები. კარტიკამის, ბავრის, ხულგუმისა და ტურციხის კათოლიკე მრევლს დავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა და თურქულ ენაზე საუბრობდნენ. ესენი იყვნენ ველელი ქართველების შთამომავლები.

კრება მოითხოვდა XIV საუკუნეში დაარსებული თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს აღდგენას; მესხეთის ქართველი კათოლიკეები უნდა ჩამოშორებოდნენ სომხურ კათოლიკურ მმართველობას და დაქვემდებარებოდნენ თბილისის რომის კათოლიკეთა ვიზიტატორს; ყველა ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში უნდა შეტანილიყო ლათინური წესი ქართული თარგმანით. ფრანგულ ენაზე თარგმნილი 1918 წლის 25 მაისით დათარიღებული კრების აღნიშნული გადაწყვეტილება, სა-

ფრანგეთის კონსულის დახმარებით, „თბილისის ქართველ-კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის“ სახელით, ბეჭედდასმული გაეგზავნა ვატიკანს. აღნიშნული წერილი ჩვენ მოვიძიეთ ვატიკანის არქივში. მას ხელს აწერს ქართულად ს. ყარაგოზაშვილი, ვ. გასპარიშვილი, მესხელი. აქვე არის გაკრული ხელით ფრანგული ხელმოწერა 4 პიროვნებისა (Pro Russia 111, 34).

აღნიშნულის გარდა, სამცხე-ჯავახეთის კათოლიკეებმა 1919 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოში ჩამოსულ მამა ანტუან დელფუშს მოსთხოვეს, რათა საჩქაროდ გამოსულიყვნენ ისინი სომეხ კათოლიკეთა მმართველობიდან და შეერთებოდნენ თბილისის რომის კათოლიკეთა მმართველობას.

რომის პაპის მიერ მოვლინებულმა მამა ანტუან დელფუშმა საქმის გაცნობის მიზნით შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა. ჩვენ ვატიკანის არქივიდან ჩამოვიტანეთ მის მიერ შედგენილი საინტერესო ვრცელი მასალა, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს ზოგადად ქართველი კათოლიკეების, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები კათოლიკე მრევლის შესახებ.

მართალია, 1920 წელს თბილისში შეიქმნა კათოლიკეთა საეპისკოპოსო, მაგრამ სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა უცვლელი დარჩა. არსებული სიტუაცია ვერც ანტუან დელფუშის შემცვლელმა, ახლადდანიშნულმა ვიზიტატორმა, დომინიკანელმა ნატალე გაბრიელ მორიონდოსმა მოაგვარა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკენი რომაულ კათოლიკურ წესს შეუერთდნენ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. აღნიშნულის დასტურს წარმოადგენს ჩვენ მიერ ვატიკანის არქივში აღმოჩენილი 1925 წლით დათარიღებული ქართულ ენაზე შედგენილი წერილი, რომლის ავტორია „საქართველოს კათოლიკეთა ეპარქიისა და სომეხ-აზერბაიჯანის საეპისკოპოსოს ხელმძღვანელი“ ემანუელ ვარდიქე. მასში აღნიშნულია, რომ ახალციხე-ახალქალაქის სოფლები გადასული არიან ლათინურ ტიპიკონზე, თუმცა მალე ათეისტური საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოში გაუქმდა კათოლიკურ ეკლესიებში ღვთისმსახურება. საქართველოს მასშტაბით მხოლოდ თბილისის მიძინების ეკლესია იყო მოქმედი, რომელზეც მიწერილი იყო რომაულ-ლათინური წესის სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მრევლი.

### ლიტერატურა:

- ბუბულაშვილი, ელდარ. 2003. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის სა-  
კითხები, თბილისი.
- Bubulashvili, eldar. 2003. Ilia ch'avch'avadze da sakartvelos ek'lesiis sak'itkhebi,  
tbilisi.
- გვარამაძე, კონსტანტინე. 1908. ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა ტი-  
რასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპი და მისი  
მოგზაურობა საქართველოში, შემდგენელი და გამომცემელი მესხის  
კონსტანტინე გვარამაძის მიერ, თბილისი.
- Gvaramadze, k'onst'ant'ine. 1908. Q'ovlad samghvdelo romis k'atolik'eta  
t'irasp'olis ep'arkhiis ep'isk'op'osi eduard baron-de rop'p'i da misi  
mogzauroba sakartveloshi, shemdgeneli da gamomtsemeli meskhis  
k'onst'ant'ine gvaramadzis mier, tbilisi.
- თამარაშვილი, მიხეილ. 1902. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,  
ტფილისი.
- Tamarashvili, mikheil. 1902. Ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris, t'pilis.
- ლომსაძე, შალვა. 1979. გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან,  
ახალციხური ქრონიკები, თბილისი.
- Lomsadze, shalva. 1979. Gviani shuasauk'uneebis sakartvelos ist'oriidan,  
akhaltsikhuri kronik'ebi, tbilisi.
- ლომსაძე, შალვა. 1997. მესხები, ახალციხური ქრონიკები, II, თბილისი.
- Lomsadze, shalva. 1997. Meskhebi, akhaltsikhuri kronik'ebi, II, tbilisi
- ლომსაძე, შალვა 2011. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუ-  
კუნის შეაწლებამდე), თბილისი.
- Lomsadze, shalva. 2011 Samtskhe-javakheti (XVIII sauk'unis shuats'lebidan XIX  
sauk'unis sheats'lebamde), tbilisi
- ლომსაძე, შალვა. 1984. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი,  
თბილისი.
- Lomsadze, shalva. 1984. mikheil tamarashvili da kartveli k'atolik'eni, tbilisi
- ფუტკარაძე, შუშანა. 2005. სტამბულის ქართული სავანე, თბილისი.
- Put'k'aradze, shushana. 2005. St'ambulis kartuli savane, tbilisi.
- ყრუაშვილი, ნატო. 2005. ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში (XIX XX  
საუკუნეთა მიჯნა), თბილისი.
- Q'ruashvili, nat'o. 2005. Kartveli k'atolik'eebi samtskhe-javakhetshi (XIX XX  
sauk'uneta mijna), tbilisi.

**Eldar Bubulashvili**

*Doctor of history, professor of Tbilisi Theological Academy  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Chief scientist.  
Javakhishvili Institute of History and Ethnology.*

**Sergo Furulava**

*PhD Candidate the Pontifical Gregorian University of Rome  
invited specialist of Sul Khan-Saba Orbeliani University*

### **Some Unknown Materials from the Vatican Archive about Georgian Catholics (XIX-XX centuries)**

In June 2019, within the confidential archives of the Congregation for the Eastern Churches at the Vatican, Sergo Parulva, an employee of the State Agency for Religious Affairs and a PhD candidate at the Gregorian University in Rome, and I, discovered previously unknown documents, concerning Georgian Catholics from the 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> centuries, during a research expedition funded by the Gelati Academy of Sciences. In this report, we present three documents from our research that shed light on the religious challenges faced by Georgian Catholics in Samtskhe-Javakheti during the early 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries.

The first document is a letter, dated on 1896, addressed to Pope Leo XIII and signed by 222 individuals, in which the Georgian Catholics of Samtskhe-Javakheti requested the Vatican's approval to conduct liturgies according to Latin rites, as opposed to the Armenian-language liturgy mandated by the Tsar, which they did not comprehend. The authors of the letter, identifying themselves as ethnic Georgians, expressed their inability to understand Armenian and their prohibition from conducting liturgies in Georgian. However, their plea was disregarded by the Vatican due to apprehensions about challenging Russian imperial policies. Since 1893, as per government decree, Georgian Catholics in southern Georgia had been prohibited from conducting services in the Georgian language.

In November 1904, the Georgian Catholics renewed their plea on the same issue, this time directing it to the newly appointed Catholic Bishop of Tiraspol, Joseph Kessler. Additionally, during the onset of the 1905 revolution, one of the articles in the government's manifesto on religious freedom, issued on April 17 and October 17 of the same year, raised hopes among Georgian Catholics that their demands would be met. Building on this manifesto, they sought assistance from the Viceroy of the Caucasus, "so that, with the authorization of the civil government, we may adopt the Latin liturgical order, as he generously permitted." Despite this, their plea to the Catholic bishop was disregarded once again.

In 1913, Georgian Catholics from Samtskhe-Javakheti reiterated their demands to the Pope. A commission was dispatched to Georgia in response to this appeal, acknowledging the necessity of granting the requested permission to the Georgian Catholics, and yet, the situation remained unchanged.

In a paradoxical turn of events, the Georgian Catholics of Samtskhe-Javakheti eventually adopted Roman Catholic practices after Georgia was Sovietized. Evidence of this is found in a letter dated 1925, authored by Emanuel Vardidze, identified as "the head of the Catholic Diocese of Georgia and the Vicariate of Armenia-Azerbaijan," which we also discovered in the Vatican archives. The letter indicates that the villages of Akhaltsikhe and Akhalkalaki adhered to the Latin liturgical order, but under the atheistic Soviet regime in Georgia, divine services were discontinued in Catholic churches. Only the Tbilisi Cathedral of the Dormition remained active for the Catholic parish of Samtskhe-Javakheti to conduct liturgies in, according to the Roman Latin Rite.